TEZAUR LITURGIC

4 DECEMBRIE

ACATISTUL SF.MARI MUCENIŢE VARVARA II

TBILISI,2000

დაუჯდომელი საგალობელი წმიდისა დიდისა მოწამისა ბარბარესი

კონდაკი 1

ზეცისა სავანეთა ბრწყინვალედ დამკვდრებულ ხარ იულიანას თანა და მარტკლთა მკედრობასა, ვითარცა ზეციერისა სიძისა მიერ დაწინდებული, ხოლო ჩუენ პატივს გცემთ, ღუაწლისა მძლეო ქრისტწს მოწამეო ბარბარე, და გევედრებით: ყოვლისა განსაცდელისაგან გკვსენ და სნეულებისაგან დაგვიცევ სიმკნისა შენისა მომკსენებელნი და სურვილით მგალობელნი: გიხაროდენ, სძალო ქრისტწსო უძლეველო, დიდო მოწამეო ბარბარე!

იკოსი 1

სენთა და მწარეთა სალმობათა დაკსნის და განაქარვებს საკსენებელი შენი, ვითარცა ითხოვე შენ ქრისტწს ღმრთისაგან, ყოვლად ქებულო ბარბარე, და უკუეთუ ვინმე გხადოს შენ ლოცვასა შინა მკურვალედ, იკსნი ყოვლისაგან ბოროტისა, ამისთკს ჩუენცა განგვარინენ ყოვლისაგან ვნებისა, რაჲთა უღმრთოთა ნებისაებრ უსჯულოებისადმი არა მივიდრიკოთ და ვიტყოდეთ ძალისაებრ ჩუენისა:

გიხაროდენ, ვარდო შუენიერო, ეკალთაგან
უნაყოფოთა აღმომორჩებულო;
გიხაროდენ, შრომანო ქალწულებისაო, ღუარძლთა
შორის კეპრთმსახურებისათა აღმოცენებულო;
გიხაროდენ, ღმრთისა მიერ წარმართთაგან
გამორჩეულო;
გიხაროდენ, უბიწოებითა და ერთგულებითა
განბრწყინვებულო;
გიხაროდენ, მადლითა აღვსილო და სულიერისა
წესითა შემკობილო;
გიხაროდენ, სასოებითა საუფლოდთა და
კეთილმსახურებისა სიმჴნითა შემოსილო;
გიხაროდენ, მღჳძარედ და ფხიზლად ცხორებისა
შემაგონებელო;
გიხაროდენ, მრავალთა ჭირთა მიერ სიმართლისათჳს
დევნულო;
გიხაროდენ, აბელისაებრ დაკლულო და ისაკისაებრ
მსხვერპლად შეწირულო;
გიხაროდენ, ქალწულო, ქალწულ დედოფალთან
მიახლებულო;
გიხაროდენ, ზეცათა შინა წმიდათა მწყობრსა თანა
შეერთებულო;
გიხაროდენ, უხრწნელითა ნაწილებითა
განდიდებულო;

გიხაროდენ, სძალო ქრისტჱსო უძლეველო, დიდო მოწამეო ბარბარე!

კონდაკი 2

დაიპყრა რაჲ მეფობაჲ მაქსიმიანოს, აღადგინა დევნულებაჲ დიდი ეკლესიათა ზედა და ქრისტეანენი სასტიკად მოსწყჳდნა, ხოლო შენ დაღათუ განმხოლოებითა იზარდებოდი მაღალსა შინა გოდოლსა, კერპთმსახურისა მამისა მიერ აღშენებულსა, შეუხებელმან ნათელმან განანათლა გონებაჲ შენი და განიზრახევდ თავსა შორის თჳსსა, თუ ვითარ შესაძლებელ არს ბნელთა კერპთა მიერ დაბადებად ცისა და ქუეყანისა? და თჳთვე მიუგებდ „არა! ერთ არს ღმერთი, ჴელითუქმნელი, და თავად არს შემოქმედი ყოველთაჲ, რომლისა ჰშუენის დიდებაჲ და ქებაჲ“: ალილუია.

იკოსი 2

ბრწყინევდი რაჲ კეთილქმნულებითა მით ჴორცისაჲთა და სულისა შუენიერებითა, მრავალი გამოჩნდეს მეძიებელნი ჴელისა შენისა, გარნა შენ არა სათნო-იყავ ქუეყნიერი სიძჱ უფროჲს ზეციერისა და სძალ ექმენ რაჲ ძესა ღმრთისასა, იესუ ქრისტესა, მტკიცედ მიუგებდი მამასა შენსა: „არა გიცნობიესა მამაო, რამეთუ არად სახმარ არს ჩემდა განხრწნადი

ესე სიკეთჱ და მიღირს, რაჲთა შევჩირო სიწმიდჱ ჴორცთაჲ და სულისაჲ და სიყუარული სრული ღმერთსა“. ამისთჳსცა მადლითა შენითა ვიხარებთ და ვღაღადებთ წადიერად:

გიხაროდენ, სახლსა შინა წამართისა მამისა შენისასა ფუფუნებითა ცხორებულო;
გიხაროდენ, გონებითა არა ყრმებრივითა, არამედ გონიერითა გამორჩეულო;
გიხაროდენ, მადლისა კეთილ-მოქმედებითა განათლებულო;
გიხაროდენ, მაცთურთა კერპთაგან ჭეშმარიტისა ღმრთისადმი გონებით ამაღლებულო;
გიხაროდენ, ღმრთის-მეცნიერებითისა ნათლითა განბრწყინვებულო;
გიხაროდენ, ჭეშმარიტსა მას ღმრთისმეტყველებასა შინა ღმრთისა სიტყვისა მიერ განსწავლულო;
გიხაროდენ, ზეგარდამო მონიჭებულისა სიბრძნისა დამტევნელო;
გიხაროდენ, სიწმიდისა და კრძალულების კეთილად დამმარხველო;
გიხაროდენ, მართლისა სარწმუნოებისა სიტკბოებისა შემყუარებელო;
გიხაროდენ, კერპთმსახურებისა საცთურისა მომძულებელო;
გიხაროდენ, გლახაკთა შესავედრებელო და

მწყალობელო;
გიხაროდენ, მეოხო ქურივთაო და ობოლთა
განმკითხველო;
გიხაროდენ, სძალო ქრისტჱსო უძლეველო, დიდო
მოწამეო ბარბარე!

კონდაკი 3

ესმა რაჲ მამასა შენსა განზრახვაჲ შენი, ბრძანა
აბანოჲსა აღშენებაჲ, სარკუმელითა ორითა,
მოსახსენებელად მზისა და მთოვარისა, რაჲთა
მოსწყუედდეს გონებასა შენსა ძიებად ჭეშმარიტებისა
და შეგაქცევდეს შუებასა ჴორცთასა, ხოლო თჳთ
წარვიდა შორად, მაშინ სხუათაცა ქალწულთა მიერ
იქმენ რაჲ სარწმუნოებისა ბრწყინვალედ
შემწყნარებელ, დასდევ აღთქუმაჲ სიწმიდისაჲ და
ქალწულებისაჲ, და ბრძენთა მათ ქალწულთა თანა
ერთ-ღმრთეებით ადიდებდი და უგალობდი სამებასა
წმიდასა: ალილუია.

იკოსი 3

განათლდა რაჲ სულითა წმიდითა გული შენი,
შეიმოსე ქრისტეს ნათელი ნათლისღებითა და ჴორცთა
შინა მყოფი უჴორცოთა მსგავსად იქცეოდი და
მსახურებდი ღმერთსა ჭეშმარიტსა, ხოლო იხილე რაჲ
აბანოჲ ორითა სარკუმელითა, აღხვედ მაშენებელთა

მიმართ აბანოჲსათა და უბრძანე ყოფაჲ სარკუმელთა სამთა, და სიბრძნითა და გულისჴმისყოფითა აჩუენე რაჲ საიდუმლოჲ სამებისა წმიდისაჲ, გამოსახე თითითა აბანოსა შინა, ნიში ჯუარცმულისა ქრისტჱს ღმრთისაჲ, დიდებაჲ მარტჴლთაჲ, მათ თანა ეველრე ღმერთსა, ჩუენცა მოგუცეს გულისჴმისყოფაჲ კეთილისა და ბოროტის განრჩევისაჲ, რაჲთა შენმიერითა ძლიერებითა სულისაჲთა შეჭურვილნი ღირს ვიქმნეთ შეწირვად გალობისა:

გიხაროდენ, მამა-პაპათა სიბილწისა დამტეეებელო და ღმრთის დიდებისა მქადაგებელო;
გიხაროდენ, ქრისტჱსთჳს ამაოჲსა ცხორებისა მომძულებელო;
გიხაროდენ, ქალწულო, ქალწულისაგან შობილისა სიძისა - ქრისტჱს მიერ პატიოსნად დაწინდულო;
გიხაროდენ, კრავო ღმრთისაო, მწყემსა კეთილსა შედგომილო;
გიხაროდენ, ღმრთისმეტყუელებისა მადლისა მომგებელო;
გიხაროდენ, სამთა სარკუმელთა მიერ მრავალ-ღმრთეებისა სიბნელისა განმდევნელო;
გიხაროდენ, მარხვითა და მღვიძარებითა ჴორცისა განმკაფველო;
გიხაროდენ, ლოცვითა ჟამ ყოველ დაუცადებელად, სულ თქმა ცრემლოვანებითა და მდაბლით გალობითა

მარადის უფლისა მვედრებელო;
გიხაროდენ, ბეჭდისა სულისა წმიდისადთა უბიწოდ
და შეუგინებელად დამამტკიცებელო;
გიხაროდენ, სოფლის მპყრობელისა საღმრთოდთა
მადლითა დამამჴობელო;
გიხაროდენ, ყოველგვარ ბოროტთა ზნე-ჩუეულებათა
და ბიწიერებათა ძლიერად დამთრგუნველო;
გიხაროდენ, ქრისტეანეთა ქალწულთა ცხორებისა
წესისა აღმამაღლებელო;
გიხაროდენ, სძალო ქრისტჱსო უძლეველო, დიდო
მოწამეო ბარბარე!

კონდაკი 4

უკუნ-იქცა რაჲ მამაჲ შენი სახიდ თჳსად, იხილა აბანო
სამითა სარკუმელითა და განკჳრდა, გარნა შენ გეწადა
მოქცევაჲ მისი ღმრთისა მიმართ, და უშიშად
ასწავებდი სჯულსა ქრისტჱსსა: „აღმოგიყვანო შენ,
მამაო, ბნელისა მიერ ნათლად; და არა გიცნობიესა,
რამეთუ სამნი სარკუმელნი იგი არიან, რომელნი
ჰნათობენ ყოველსა სოფელსა - მამაჲ, ძჱ და სული
წმიდაჲ და მხოლოჲ მას შუენის მადლობაჲ და
დიდებისმეტყველებაჲ“: ალილუია.

იკოსი 4

ვერ თავს იდევ, უბიწოო, უშჯულოებაჲ მამისა
შენისაჲ, და მოტყინარემან შურითა საღმრთოჲთა,
სიცბილი მისი კადნიერებითა ამხილე და სიმაღლესა
მდგომარენი კერპნი გარდამოსთხიენ, მაშინ აღივსო
გულის წყრომითა ბილწი იგი, რამეთუ დაბრმობილ
იყო სულიერითა თუალითა, და განძჳნდა მოკლვად
შენდა მახჳლითა, გარნა განცრუვდა სილაღჱ მისი,
რამეთუ ოტებულ იქმენ რაჲ მამისაგან შენისა,
ვითარცა კრავი უმანკოჲ ბოროტისაგან მგელისა,
მიისწრაფე კეთილისა მწყემსისა ქრისტჱს მიმართ, და
ვითარცა თეკლა პირველმოწამე, კლდემან შეგიწყნარა,
ეგრეთვე აწ შენდამი კეთილმსახურებითა
მოლტოლვლნი შეგვაწყნარენ ღმერთსა სახიერსა,
შეგვჭურვოს ჩუენ ძალითა თჳსითა უძლეველითა,
ხილულთა და უხილავთა მტერთა ზედა, რაჲთა
მართლითა სარწმუნოებითა აღმსთობილნი ჴმა-
ვჰყოფდეთ გიხაროდენსა:

გიხაროდენ, ქალწულო, წარმართთა შორის წმიდად
და შეურყეველად ცხორებულო;
გიხაროდენ, ასულო ზეციერისა მამისაო, პატიოსანო,
თჳნიერ ზეციერისა, სიძისა სხვისა არა მნებებელო;
გიხაროდენ, წმიდათა და სანატრელთა მოწამეთა
მიმბაძველო;

გიხაროდენ, ქრისტჱს ჯუარისა ბეჭთა თჳსთა ზედა აღმღებელო;
გიხაროდენ, ნებითა შენითა მისთჳს ტანჯვათა დამთმენელო;
გიხაროდენ, უსამართლოთა ბჭობათა დამარღვეველო;
გიხაროდენ, საყუარელისა მამულისაგან ჯმნილო და ზეციერისა მამულისა აღმრჩეველო;
გიხაროდენ, მიწიერისა მამისაგან ქრისტეს სარწმუნოებისათჳს დევნულო;
გიხაროდენ, შორის კლდესა, ბრძანებითა ღმრთისადთა შენთჳს განხუმულსა, განსრულო;
გიხაროდენ, მღვიმესა შინა საკჳრველად შესრულო;
გიხაროდენ, კეთილ-სუნნელო მირონო, ქრისტჱს ეკლესიისა განმასულნელებელო;
გიხაროდენ, ყოველთა მართლმორწმუნეთა ნუგეშინისმცემელო და ბოროტმადიდებელთა მარცხვენელო;
გიხაროდენ, სძალო ქრისტჱსო უძლეველო, დიდო მოწამეო ბარბარე!

კონდაკი 5

იხილეს რაჲ ორთა მათ მწყემსთა, თუ ვითარ გეძიებდა უშჯულოჲ მამაჲ შენი, ერთმან მზაკუვარმან განგცა და საყოფელი შენი აუწყა უგუნურასა, ხოლო გპოა რაჲ დაფარულსა შინა მჯდომარჱ ბოროტმან

დიოსკორე, იპყრნა თმანი შენნი შუენიერნი, და მიგითრევდა რაჲ სახიდ თჳსად, დაპებულნი ჴორცნი შენნი ძოწეულ იქმნა სისხლითა და მით შესუარულნი თმანი შენნი განეფინა გზასა ზედა, გარნა უფლისა მიმართ აღგეპყრა გონებაჲ, ნეტარო, და ჴმობდი სიმჴნითა: „შემწე ჩემდა არს ქრისტე, მე ვარ მჴევალი მისი“, და აქებდი განმაძლიერებელს შენსა: ალილუია.

იკოსი 5

დაივიწყა რაჲ ბუნებრივისა შჯულისა სიყუარული შჳლებისაჲ, მამამან შენმან შთაგადო ბნელსა და გტანჯვიდა რაჲ სიყმილითა, თჳით წარდგა წინაშე კერპთმსახურისა მმართველისა და ამცნო, თუ ვითარ ჰხადი ღმერთსა ქრისტეანეთასა, რაჲსთჳსცა ბოროტი იგი მთავარი განრისხნა და მიყვანებაჲ შენი უბრძანა უგუნურსა, გარნა შენ ილოცევდი: „მოავლინე, უფალო, შემწე ჩემი ზეცით წმიდით შენით, რჲთა შეუგინებელად დავიცვე ქალწულებაჲ ჩემი და განმაძლიერე მე წინა-აღმდგომთა შენთა მიმართ და ეშმაკისა, რაჲთამცა ვსძლო მას და დავთრგუნო იგი ძალითა შენითა“, ამისთჳსცა შჳლნი მართლმადიდებელისა ეკლესიისანი შეგამკობთ ჴმითა მაღლითა:

გიხაროდენ, სისხლთა შენთა მიერ საქორწინოჲსა სამოსელისა შემმოსველო;

გიხაროდენ, თხზულთა თმათა წილ, ზეციერისა გჳრგჳნისა მომღებელო;
გიხაროდენ, ღუარითა სისხლთა შენთაჲთა საცთურისა ალისა დამშრეტელო;
გიხაროდენ, ვარსკულავო, ჴსნის მეძიებელთათჳს გზისა მაჩუენებელო;
გიხაროდენ, ახოვნებითა და სიმამაცითა შენითა სულმოკლეთა და დაჴსნილთა მარცხვენელო;
გიხაროდენ, სარწმუნოებითა მტკიცითა უკეთურთა სულთა მძლეო და შემმუსრველო;
გიხაროდენ, უღმრთოთა სწავლებათა კადნიერებითა დამჴსნელო;
გიხაროდენ, სანთელო, გონიერთა განმანათლებელო და უგუნურთა დამწველო;
გიხაროდენ, ბელიარის ზრახვათა მომსრველო და ყოვლისა სიბილწისა აღმხოცველო;
გიხაროდენ, საღმრთოჲთა ცეცხლითა გულთა ჩუენთა აღმგზებელო;
გიხაროდენ, მართლისა სარწმუნოებისა და ღმრთის პატივისცემისა დამნერგველო;
გიხაროდენ, ზედა დასხმისაგან და ძჳრთა უხილავთა მტერთაჲსა დამფარველო;
გიხაროდენ, სძალო ქრისტჱსო უძლეველო, დიდო მოწამეო ბარბარე!

კონდაკი 6

იხილა რაჲ ჰასაკი და შუენიერებაჲ შენი, მარკიანე ჰგონებდა კერპთა მიმართ მიქცევასა შენსა, ნეტარო, და ლიქნითა გრქუა: „უწყიან ღმერთთა, რამეთუ არა მნებავს მე ტანჯვაჲ შენი, ჵ, ბარბარე, არამედ უზორე ღმერთთა და განერე შენ საშინელთა სატანჯველთა“, ხოლო შენ მძლავრთა მიმართ სიტყვის-გებასა მოგცემდა სული მამისაჲ და ეტყოდი მას: „ვერ შესძრა სიმტკიცჱ ჩემი ვერცა კეთილითა და ვერცა გუემითა, არამედ ვესავ ღმერთსა ყოვლისა შემოქმედსა იესუ ქრისტესა მამისა მისისა თანა და სულისა წმიდისა, ერთსა ღმერთსა ჭეშმარიტსა, რაჲთამცა მიჴსნეს უშჯულოებისაგან და ხრწნილებისა, და ვუგალობ მას სულითა და ჭეშმარიტებითა“: ალილუია.

იკოსი 6

მაშინ აღივსო გულისწყრომითა მსაჯული იგი სიცრუვისაჲ და გრქუა: „უკუეთუ არა ისმინო ჩემი, ასონი ეგე შენნი დაიჭრნენ მახჳლითა, და ცეცხლმან რისხვისა ჩემისამან შეგჭამოს შენ“, გარნა შენ მტკიცედ მიუგებდი: „აწ არა ვერჩი მე უგუნურებასა თქუენსა და არცა თაყუანის-ვსცემ კერპთა მათ მტყუართა: ყრუთა და უტყუთა, ჴელითა კაცთაჲთა შექმნულთა, ვითარცა თქუა წინასწარმეტყველმან დავით: „პირ ათქს და არა იტყჳან, თუალ ასხენ და არა ხედვენ...

ემსგავსენ მათ მოქმედნი მათნი და ყოველნი, რომელნი ესვენ მათ“ და სივერაგენი მისნი უქმ-ყავ ძალითა სულისაჲთა, ამისთჳსცა შენ მიერ მოქადულნი შეგახამთ სამადლობელსა ამას ქებისასა:

გიხაროდენ, დავით წინაწარმეტყველისა, მეფისა და მამადმთავრისა თქმულთა აღმასრულებელო;
გიხაროდენ, ქადაგო ღმერთშემოსილო, მოციქულთა ქრისტჱსთა მიმბაძველო;
გიხაროდენ, ჭეშმარიტებისა გზათაგან შეცთომილთა მამხილებელო;
გიხაროდენ, დაუცადებელითა ლოცვითა ეშმაკისა ცთუნებათა განმდევნელო;
გიხაროდენ, ღუაწლთა და მოწევნულთა განსაცდელთა თავს-მდებელო;
გიხაროდენ, სწავლისაებრ მათისა მრავალღმრთეებისა წყუდიადისა განმაქარვებელო;
გიხაროდენ, მძლავრთა სივერაგეთა უქმ-მყოფელო და კერპთმსახურებისა მჴნედ გამბასრველო;
გიხაროდენ, ყოველთა ურწმუნოთა პირისა დამაყოფელო;
გიხაროდენ, სულთა განმხრწნელთა მოძღურებათაგან დამჴსნელო;
გიხაროდენ, მზაკუვარებისა დამლახვრელო და წინააღმდგომთა ძალთა დამცემელო;
გიხაროდენ, მეოხებათა შინა მჴურვალეო შემწეო და

მვედრებელთა შენთა მსწრაფლ-მსმენელო; გიხაროდენ, ცუდთა ლტოლვათა აღკრ-აღმსხმელო; გიხაროდენ, სძალო ქრისტჱსო უძლეველო, დიდო მოწამეო ბარბარე!

კონდაკი 7

განარისხა უგულისჴმოჲ იგი სიმტკიცემან შენმან და ბრძანა გუემაჲ შენი ღუედებითა, ხოლო რომელნი ხედვიდეს ჴორცთა შენთა წყლულებათა, ტიროდეს მწარედ და გეტყოდეს სისხლ-დალტობილსა: „აღიარენ უკუე ღმერთნი და განერე გუემასა“, გარნა შენ არად შერაცხენ თხოვაჲ მათი და ესრეთ მიუგე: „ამათ გუემათა წილ განსუენებასა მოველი უფლისა ჩემისა მიერ იესუ ქრისტჱსა წმიდათა თანა ქალწულთა, და მას მხოლოსა შევსწირავ მადლსა და გალობასა“: ალილუია.

იკოსი 7

ჰგონებდა რაჲ მარკიანჱ სიკუდილსა შენსა, შთაგაგდო საპყრობილედ, ადგილსა ბნელსა, გარნა შენ აღაპყარ თუალნი და იწყე ლოცვად: „მხოლოდ-შობილ ვარ მე დედისა ჩემისაგან, და მამამან ჩემმან დამაგდო მე, ხოლო შენ მოიხილე ჩემდა, ღმერთო, და მოავლინე ცუარი კურნებისაჲ, რაჲთამცა აღმიმციროს ტანჯვაჲ და სალმობანი ჩემნი გარდაცვალნეს სიხარულად“, და

აჰა შეისმინა უფალმან ჴმაჲ ვედრებისა შენისაჲ და ნათელი გამობრწყინდა საპყრობილესა შინა, რამეთუ გამოგიჩნდა შენ ქრისტე ანგელოზთა თანა, და განკურნა რაჲ ყოველთაგან წყლულებათა, გრქუა: „მშვდობაჲ შენდა, ბარბარე! ნუ შეძრწუნდები უსჯულოჲსა მისგან მსაჯულისა, რომელნი განუძლიერებიეს ეშმაკსა, არამედ მე თანა დაგიდგე და გიჴსნე შენ ყოვლისაგან ბოროტისა“, ხოლო შენ იპოე რაჲ თავი თჳსი ყოვლად უვნებელი, სიხარულითა ჰმადლობდი ღმერთსა, მას ევედრე აწ ჴსნად ჩუენდა ვნებათაგან სულიერთა და სენთაგან ჴორციელთა, რომელნიცა გნატრით და ვღაღადებთ სურვიელად:

გიხაროდენ, ნეტარ-შუენიერო სძალო უფლისაო;
გიხაროდენ, მსაჯულო მსჯავრისა და სიმართლისაო;
გიხაროდენ, მტჳრთველო ქრისტჱს ტკბილისა უღლისაო;
გიხაროდენ, ჭურო კეთილისა ზნეობისა და გონიერებისაო;
გიხაროდენ, ქუხილო საღმრთოჲსა ქადაგებისაო;
გიხაროდენ, ფარო, დამცველო კეთილმსახურებისაო;
გიხაროდენ, მახჳლო, განმკუეთელო ბოროტმსახურებისაო;
გიხაროდენ, ყოვლად შეუძველო სუეტო სიმჴნისაო;
გიხაროდენ, უწყალოდ მოსხლულო ვაზო ქრისტჱს

ვენახისაო;
გიხაროდენ, საღმრთოო ბარძიმო ზესთა საკურთხეველისაო;
გიხაროდენ, მურო, ნელსაცხებელად შეწირულო უკუდავისა მეუფისაო;
გიხაროდენ, შემწეო ყოვლისა გონიერისა მჴნისა დედაკაცისაო;
გიხაროდენ, პატიოსანო მარგარიტო ქრისტჱს ეკლესიისაო;
გიხაროდენ, სძალო ქრისტჱსო უძლეველო, დიდო მოწამეო ბარბარე!

კონდაკი 8

გიხილეს რაჲ მცველთა შენთა მლოცველი წინაშე ღმრთისა, ერთობით ღაღადყვეს: „დიდ არს ღმერთი ქრისტიანეთაჲ, რომელმან განჰკურნა ესე და არა არს სხუაჲ ღმერთი უდიდეს მისა“, გარნა ესმა რაჲ მარკიანეს, განცჳფრდა და მიყვანებაჲ შენი უბრძანა მხედართა, ხოლო შენ გან-რაჲ-ხვედ საპყრობილით, დაიბეჭდე ყოველნი ასონი შენი ბეჭდითა ქრისტჱსითა, და საღმრთოჲთა გალობითა ადიდებდი ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 8

გიხილა რაჲ მთავარმან ყოვლითურთ მრთელი და უვნებელი, მოგიწოდა შენ თაყუანისცემად კერპთა და გრქუა: „შეწირე მსხუერპლი ღმერთთა ჩუენთა ნიშნად მადლიერებისა“, გარნა შენ ღაღად-ყავ: „ეშმაკთა მათ მცთურთა მსახურო, ნუ ხარ მოყუარწ კერპთა ყრუთა და უტყვთა, რომელნი ვერ შემძლებელ არიან ხედვად, არცა შეწევნად მოსავთა მათთა, არამედ თაყუანის-ეც ქრისტესა, რომელი ჯუარს-ეცვა, დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა და ჯუარითა მისითა განმაძლიერა შენ ზედა“, და აჰა, მტანჯველთაცა შენთა ჴმა-ყვეს: „ჩუნცა გურწამს იესუ ქრისტე, რამეთუ არა არს სხუაჲ ღმერთი გარეშე მისსა“, რაჲსთჳსცა თავნი მოჰკვეთნეს და დაიმკჳდრეს სუფევაჲ ზეცისაჲ, ეგრეთვე აწ განაბრძვნე სული და გონებაჲ ჩუენი ღმრთისა მიერ, წმიდაო, რაჲთა შენმიერითა სიმჴნითა შეჭურვილნი გნატრიდეთ მადლიერებითა და ვიტყოდეთ ქებითა:

გიხაროდენ, ღმრთისა მიერ ბნელითგან ნათელსა შინა სარწმუნოებისასა საკჳრველად აღმოწოდებულო;
გიხაროდენ, ყოველსა ქუეყანასა ზედა მსგავსად ვარსკულავისა გამობრწყინვებულო;
გიხაროდენ, საკჳრველო ყრმაო, მძლეთა უმძლესად გამოჩინებულო;
გიხაროდენ, ჯუარცმულისა ქრისტჱსათჳს ძელსა

ზედა დამოკიდებულო;
გიხაროდენ, გუემათა დათმენითა უმყარეს ანდამატისა გამოჩინებულო;
გიხაროდენ, თჳთ მტანჯველთაცა სარწმუნოებად მიმყვანებელო;
გიხაროდენ, განდგომილთა და უარისმყოფელთა მომაქცეველო;
გიხაროდენ, მამაცობისა და ურყევისა სიმტკიცისა მომნიჭებელო;
გიხაროდენ, ცილისმწამებელთა და მაგინებელთა მამხილებელო;
გიხაროდენ, უფლისაგან არაწმიდა სულთა ზედა ჴელმწიფებისა მიმღებელო;
გიხაროდენ, ბოროტ სენთაგან შეპყრობილთა განმკურვნელო;
გიხაროდენ, გამოუცდელთა და უჰასაკოთა ქალწულთა ვნებულთა გულისთქუმათაგან დამფარველო;
გიხაროდენ, სატანისა მაჴეთაგან და უცხო თესლთა ზედა მოსლვისაგან დამცველო;
გიხაროდენ, სძალო ქრისტჱსო უძლეველო, დიდო მოწამეო ბარბარე!

კონდაკი 9

ფრიად განრისხნა მარკიანე და ბრძანა დამოკიდებად ძელსა ზედა და ხუეტად გუერდთა შენთა ფუცხვითა რკინისადთა და ლამპართა აღნთებულთა მიპყრობად, მაშინ მტარვალთა მათ ყვეს ეგრეთ და ჴორცნი შენნი მოსწუნეს ცეცხლითა, ხოლო სიმრავლჱ ერისად არცა-ღა წინა-აღუდგებოდა ესევითარსა უკეთურებასა, გარნაღა ერთი კეთილმსახური დედაკაცი, სახელად იულიანა, უშიშად ამხილებდა მთავარსა, და ოდეს ჰკითხვიდა იგი: „რომელსა ღმერთსა ჰმსახურებ, დედაკაცო?“ - „ქრისტესა, ჭეშმარიტსა ღმერთსა“ მიუგო კადნიერად, და მყის ბრძანა წამებად მისი შენთანა, გარნა თქუენ იგუემებოდით რად სტადიონსა შინა, განამჴნობდით ურთიერთას და ადიდებდით ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 9

იხილა რად უკეთურმან ახოვნებად თქუენი, გარნრისხნა ფრიად და შთააგდო იულიანა დილეგსა, ხოლო შენ განგძარცვეს სამოსელი, რადთა შეიკდიმო ქალწულებრითა სირცხვილითა, და მიმო-გატარებდეს ქალაქსა შინა, არამედ ანგელოზმან ნათლითა მობლარდნილმან ოდეს განგაშიშვლეს შენ ქრისტჱსთჳს, ბრწყინვალითა სამოსლითა შეგმოსა, წმიდაო, და ურცხუთა თუალთაგან უხილავად

დაგიცვა, ამისთჳსცა შეძრწუნდა უშჯულოჲ იგი მთავარი, ნუუკუე ყოველი იგი ქალაქი იქმნეს აღმსაარებელ ქრისტჱსა, და იულიანას მახჳლითა მოწყუედაჲ უბრძანა მხედართა, ხოლო მამასა შენსა ეტყოდა: „აღიღე მახჳლი და აღასრულე ასული შენი თავის მოკუეთითა“, ამისთჳსცა პატივად ძლევაშემოსილთა ღუაწლთა შენთა და ვნებათა გიგალობთ სურვილითა:

გიხაროდენ, რამეთუ საშინელი ვნებაჲ შენი იხილა რაჲ კეთილ-მორწმუნემან დედათა შორის იულიანა, განკჳრდა ფრიად, თუ ვითარ დაითმენდი ახოვნად ქრისტესთჳს ესევითართა სატანჯველთა;
გიხაროდენ, რამეთუ აღვსილმან ცრემლითა ლმობიერებისაჲთა, მსწრაფლ ქრისტე აღიარა;
გიხაროდენ, ბარბარე ქალწულ შუენიერო და იულიანა, რამეთუ სურვილითა ქრისტჱსითა დედობრივისა მის ბუნებისა უძლურებასა წინ-აღუდეგით მამაკაცებრითა ღუაწლითა;
გიხაროდენ, წინა-აღდგომთა მიერ უძლეველნო, რამეთუ დედათა ბუნებითა სძლეთ მძლავრებასა მამათასა;
გიხაროდენ, რამეთუ მოგეხვივნეს არვეთა კრავისაჲთა მგელნი ბოროტნი და დაგბძარნეს უწყალოდ, ვითარცა ჰეროდემ ჩჩვილნი უმანკონი და ვითარცა ზაქარია უბრალოდ დაკლული;

გიხაროდენ, ზუარაკნო წმიდანო და უბიწონო, რამეთუ სასტიკთა წყლულებათა ახოვნად დაითმენდით და ქრისტჱსთჳს სისხლსა დასთხევდით;
გიხაროდენ, რამეთუ აღანთეთ სანთელნი თქუენნი მსგავსად ბრძენთა მათ ქალწულთა;
გიხაროდენ, რამეთუ აღიგეთ ზეთი ჭურჭელთა თქუენთაჲ და მიეგებეთ სიძესა და შეხვედით ქორწილსა მას სამეუფოსა;
გიხაროდენ, რამეთუ კეთილად მოღუაწებითა და სიმჴნით წამებითა მოაკუდინეთ მტერი იგი მზაკუვარი;
გიხაროდენ, რამეთუ განშვენდით პატიოსნად, ღუაწლისა მძლენო მოწამენო, ჩუენ ცოდვილთაგან დიდად სანატრელნო, და მოიღეთ ქრისტჱს მიერ დაუჭნობელი გჳრგჳნი ზეცისაჲ;
გიხაროდენ, ქალწულნო და მართლმადიდებელნო, ქალწულ მარიამსა და ძესა მისსა ევედრენით, რაჲთა ჩუენცა მოგვიტევნეს შეცოდებანი ჩუენნი;
გიხაროდენ, სანატრელნო და კურთხევითა საჴსენებელნო, რამეთუ აღმოსავალით, ვიდრე დასავალადმდე ქებულ არს სახელი თქუენი;
გიხაროდენ, სძალო ქრისტჱსო უძლეველო, დიდო მოწამეო ბარბარე!

კონდაკი 10

მაშინ განგიყვანა გარეშე ქალაქისა მშობელმან შენმან, და მიიწიენით რაჲ ადგილსა, სადაცა ეგულებოდა წარკვეთაჲ თავისა შენისაჲ, ევედრე უწყალოსა: „მაცადე მე მცირედ, ვილოცო წინაშე ღმრთისა, რაჲთამცა სული ჩემი აღიყვანოს ადგილსა მას განსასუენებელსა“. გარნა იგი მკსინვარებითა ჴმა-ჰყოფდა: „ვინ არს ღმერთი შენი? უხმე რაზომ შემძლებელ ხარ, რაჲთა ვიხილო უკუეთუ მოვიდეს და გიჴსნეს შენ ჴელთაგან ჩემთა“, მაშინ აღაპყარ წმიდანი ჴელნი ზეცად და ჰმადლობდი ღმერთსა, რომელმან ღირს გყო შენ ცნობად სახელსა წმიდასა მისსა და შესწირევდი ქებასა ქებათასა: ალილუია.

იკოსი 10

კუალად ილოცვიდი მუჴლთ-მოდრეკითა უფლისა მიმართ, ქალწულო შუენიერო, და მჴურვალედ ღაღადებდი: „ისმინე, უფალო, მჴევლისა შენისაჲ და მოჰმადლე ჴორცთა და ძუალთა ჩემთა მადლი სულთა და ჴორცთა კურნებისაჲ, ხოლო რომელსა ჰნებავს ღუაწლისა ჩემისა სმენაჲ, მიეც მათ მოტევებაჲ ცოდვათაჲ, და უკუეთუ ვინმე შევარდეს საქმესა შინა საშჯელისასა უსამართლოდ, სძლევსმცა მტერთა მისთა მოჴსენებითა სახელისა ჩემისაჲთა“, ამისთჳსცა სენთა მკურნალად და სასწაულთა საუნჯედ

სულიერად გუაქუ შენ ყოველთა მორწმუნეთა და შეგასხამთ ქებასა:

გიხაროდენ, ბრძენო ქალწულო, მანათობელისა ლამპრისა მქონებელო;
გიხაროდენ, დროებითისა შუენიერებისა არარად შემრაცხველო;
გიხაროდენ, წარმავალისა დიდებისა წილ წარუალისა ნათლისა მომღებელო;
გიხაროდენ, სანატრელისა ცხორებისა მომვაჭრებელო;
გიხაროდენ, ყოველთა მწუხარეთა და პყრობილთა ნუგეშინისმცემელო;
გიხაროდენ, ჭეშმარიტებისა მომართ მოსწრაფეთა მსწრაფლ-შემსმენელო;
გიხაროდენ, სიცრუვისა თაყუანისმცემელთა და ჭეშმარიტებისა მოძულეთა ზარდამცემო;
გიხაროდენ, მარტჳლთმოყუარეთა ერთა მცველო დაუძინებელო;
გიხაროდენ, მოშურნეთა და ცილისმწამებელთა დამამდაბლებელო;
გიხაროდენ, სულისა და ჴორცისა შეუხებელად დამცველო;
გიხაროდენ, განკრძალულთა მღდელთა და მონაზონთა ჴელისაღმპყრობელო;
გიხაროდენ, ქალწულთა და დედათა ღმრთივმონიჭებულო შემწეო და მწყალობელო;

გიხაროდენ, სძალო ქრისტჱსო უძლეველო, დიდო მოწამეო ბარბარე!

კონდაკი 11

სრულყავ რაჲ ლოცვაჲ შენი, სალმრთოჲ ჴმაჲ გესმა შენ შემწირველი თხოვათა შენთაჲ: „აჰა ყოველი რომელი ითხოვე, მიმიმადლებიეს შენდა და უკუეთუ ვინმე გხადოს შენ ლოცვასა შინა, ვიჴსნე იგი ყოვლისაგან ბოროტისა, ხოლო ნეტარ იყოს ნათესავი იგი, რომელსა ვრწმენე მე შენ მიერ, და მოვედ აწ დისა შენისა იულიანას თანა ადგილსა, რომელი განგიმზადეთ თქუენ მარჯუენით თეკლაჲსა და მარტჳლთა თანა, ბრწყინვალედ შუენიერთა და გჳრგჳნოსანთა, რაჲთა სამარადისოდ ერთობით უგალობდეთ წმიდასა სამებასა“: ალილუია.

იკოსი 11

ესე ჴმაჲ ესმა რაჲ დიოსკორესა და მისთანა მყოფთა, განცჳფრდეს, ხოლო შენ, ლოცვითა და სარწმუნოებითა აღჭურვილმან შეჰვედრე სული თჳსი უფალსა, და ქედისა მომდრეკელმან რქჳ მამასა შენსა: „აწ აღასრულე ბრძანებული შენდა მთავრისა მიერ, ჰოჲ, უღმერთოო, რამეთუ ძალითა ქრისტჱჩს ჩემისაჲთა ვსძლე არაწმიდასა მას მსაჯულსა“, და ესე არს საკჳრველ, რამეთუ უბადრუკმან მამამან მიგცა

სიკუდილად საყუარელი შჳლი თჳსი და წმიდაჲ თავი შენი წარგკვეთა, გარნა განითქვა რაჲ სიმჴნჱ შენი და მარტჳლობაჲ, მრავალი გალობაჲ შესწირეს შენდა, სანატრელო, გარემოჲს ნეშტისა შენისა მდგომარეთა, რომელთა თანა მეცა გიგალობ და ესევითარისა ძლევისა გამოჩინებისთჳს შეგითხზნავ ქებასა:

გიხაროდენ, ძუელთა მათ მოწამეთა თანამოსაგრეო, რამეთუ სიმახჳლჱ რკინისაჲ და სიმჴურვალჱ ცეცხლისაჲ შეურაცხ-ყავ ახოვნებითა და მით დასთრგუნე მანქანებანი მტერისანი;
გიხაროდენ, რამეთუ სიყუარულისათჳს მამისა მიმართ უკუდავისა მამამან ქუეყნიერმან უწყა-ლოსა სიკუდილსა მიგცა;
გიხაროდენ, რამეთუ ურწმუნოჲსა მამისა მიერ მოკლული ასულად თჳსად საყუარელად მამამან ზეცათამან შეგიწყნარა და ხრწნადისა ქუეყნიერისა საფასისა წილ, უხრწნელებაჲ ჴორცთაჲ მოგმადლა;
გიხაროდენ, რამეთუ უმანკო იქმნნეს გუამი შენი სისხლთა შენთა პკურებითა და იულიანას თანა იშუებ საუკუნოდ დიდებითა საუკუნოჲთა;
გიხაროდენ, თანა დაკლულნო დანო, მეოხნო ჩუენნო, რამეთუ სიხარულად შეგეცვალნეს მწუხარებანი და ტკივილნი სიამედ და ჰპოეთ შუებაჲ საუკუნოჲ;
გიხაროდენ, რამეთუ ბრწყინავთ ნათლითა წამებისაჲთა და გჳრგჳნითა მარტჳლთაჲთა შემკული

ელვარედ მდგომარე ხართ წინაშე ღმრთისა;
გიხაროდენ, ნეშტითა მით შენითა პირველ ილიოპოლისისა, და შემდგომ კონსტანტინეპოლისა განმასულნელებელო, ხოლო უკანაჲსკნელ ნაწილნი შენნი მოემადლნეს ქალაქსა კიევსა გჳრგჳნად მადლთა;
გიხაროდენ, კეთილთა თხოვათა აღმასრულებელო, რამეთუ მეუფისაგან ყოველთასა მიიღე ნიჭი საკჳრველებისაჲ, და წმიდანი ნაწილნი შენნი ჰკურნებს სენთა სიმრავლესა, ეშმაკთა განიოტებს და ახარებს ყოველსა სოფელსა;
გიხაროდენ, რამეთუ მკუდარი, ვითარცა ცხოველი უმცხინვარეს მზისთუალისა ჰნათობ ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა და ლუსკუმით გამო ჰქადაგებ ქრისტესა ღმერთსა;
გიხაროდენ, რამეთუ ყოველი მორწმუნჱ და ყოველი მართლმადიდებელი ერი პატივს-სცემს უხრწნელთა ნაწილთა შენთა და წლითი-წლად აღასრულებს ჴსენებასა შენსა;
გიხაროდენ, შემწეო ყოველთა განწირულთაო, რამეთუ სენთა და ბუგრთა მკურნალად და სა-სწაულთა მოქმედად აქუ შენ ყოველთა მართლმადიდებელთა;
გიხაროდენ, რამეთუ უალრეს ბუნებისა, სიტყჳსა, ცნობისა და გონებისა არიან შენნი ახოვნებანი და შესხმით იქები მორწმუნეთაგან:

გიხაროდენ, სძალო ქრისტჱსო უძლეველო, დიდო მოწამეო ბარბარე!

კონდაკი 12

კურთხეულ არს მეუფჱ, რომელმან ღირს გყო შენ წმიდათა მენელსაცხებლეთა და მოწამეთა დასთა შეერთებასა და მსგავსად მათსა პატივ გცა გჳრგჳნითა ღუაწლთაჲთა, რამეთუ აღასრულა ქრისტემან თხოვაჲ შენი ბარბარე, და მოსაგებელად მოგანიჭა მადლი კურნებათაჲ მვედრებელთა შენთათჳს, ღირსო, ხოლო რომელნი ითხოვენ შეწევნასა მიიღებენ უფროჲს თხოვისა, ამისთჳსცა ვადიდებთ ღმერთსა, რომელმან მოგანიჭა ესე ვითარი მადლი და სიწმიდჱ, და ვუგალობთ განმადიდებელსა შენსა: ალილუია.

იკოსი 12

სიხარულითა აღივსების და იქადის აწ ქალაქი კიევი, სადაცა არს ნაწილთა შენთა წმიდაჲ ლუსკუმაჲ და უშურველად აღმოაცენებს მადლსა და წყალობასა, ხოლო ყოველნი სარწმუნოებითა მილტოლვილნი ამბორისყოფად მისდა, მიემთხვევიან სათხოვართა კეთილად აღსრულებასა, რამეთუ უფლისა მიერ შენდამი ბოძებულითა მადლითა მსწრაფლგანკურნავ ვნებათა სულიერთა და ჴორციელთა, და ხატთა მიერ

გამოწერილთა და ვედრებათა მოხსენებული იესნი
განსაცდელთაგან შემსხმელთა:

გიხაროდენ, ძალითა ჯუარცმულისადთა მტერთა
საცთურთა უჩინომყოფელნო;
გიხაროდენ, წესთა თანა უჴორცოთასა ცათა შინა
მიწვთომილო და სასწაულთმოქმედო;
გიხაროდენ, ქალწულებითთა გუნდთა მიერ,
სასძლოთა შინა ზეცათასა სიხარულითა
შეყვანებულო;
გიხაროდენ, ტანჯვითა დამწუხრებულთა
ნუგეშინისმცემელო;
გიხაროდენ, სულიერთა და ჴორციელთა
უძლურებათა ჩუენთა განმკურნელო;
გიხაროდენ, ბოროტთა სულთაგან შეპყრობილთა
გამომჴსნელო;
გიხაროდენ, ხილულთა და უხილავთა მტერთაგან
განმარინებელო;
გიხაროდენ, ნელ-ტფილისა სარწმუნოებისა
განმაცხოველებელო;
გიხაროდენ, ჭირთა მძჳნვარეთა მსწრაფლ
განმდევნელო;
გიხაროდენ, ცრუ-მორწმუნეობისა მწიკულისა
განმაქარვებელო;
გიხაროდენ, შენდამი მოლტოლვლთა ვნებულთა
სულთა შემწყნარებელო;

გიხაროდენ, მწუხარებათა ჩუენთა სიხარულითა შემცვალებელო;
გიხაროდენ, სძალო ქრისტჱსო უძლეველო, დიდო მოწამეო ბარბარე!

კონდაკი 13

ჱ, ქალწულებითა განშუენებულო და წამებითა გაბრწყინვებულო, დიდო მოწამეო ბარბარე, ვნებათა თავს-დებითა მადლი არა წმიდათა სულთა განდევნისაჲ და ძჳრთა უხილავთა მტერთა დათრგუნვისაჲ მოიღე ზეგარდამო და ყოველთა მვედრებელთა შენთა გამოუბრწყინვებ შეწევნისა შენისა საბოძვართა, აწცა მკურნალ ექმენ უძლურებათა ჩემთა და ევედრე ქრისტესა ღმერთსა, მომანიჭოს ქრისტეანებრივი აღსასრული და ვიდრე სიკუდიდმდე ღირს მყოს ზიარებად ყოვლადწმიდათა და ცხოველს-მყოფელთა საიდუმლოთა მისთა, რაჲთა მადლითა საღმრთოჲთა განძლიერებული შენ თანა ვუგალობდე ყოვლად-წმიდასა სამებასა: ალილუია.

ეს კონდაკი 3-გზის, შემდეგ

სავედრებელი ლოცვა

ჱ, წმიდაო, დიდებულო და კეთილად-მძლეო დიდ-მოწამეო ბარბარე, ქრისტჱს ეკლესიისა ლამპარო

ბრწყინვალეო, საკვრველებათა უხუებით მომნიჭებელო, მოწყალეო, ურისხველო, გლახაკთა ჴელისაღმპყრობელო და სნეულთა მსწრაფლშემწეო!

ჰ, წმიდაო დიდებულო და ყოვლად-ქებულო ქალწულ-მოწამეო ბარბარე, სძალო ქრისტესო შუენიერო, ვითარცა ზეცისა სიძისა დაწინდებული, სავანეთა მისთა დამკვდრებულ ხარ ხუთთა მათ თანა ბრძენთა ქალწულთა და იულიანას თანა, გვთხოვე აწ ქრისტჱს ღმრთისაგან, რაჲთა დაიცვას მამული ჩუენი მტერისა საფრჴისაგან და ძმათა მტერობისაგან, და წყალობითა მოხედოს დედისა თჳსისა წილხდომილსა ერსა ჩუენსა, მართლმადიდებელსა და მართლაღმსაარებელსა. განჰკურნენ მრავალწყლულებანი ჩუენნი ღმრთივმისათუალველითა ლოცვითა შენითა და მოგუეც ჩუენ საღმრთოჲ მოშურნეობაჲ მამულისაჲ და შიში ღმრთისაჲ, რაჲთა ყოველნი მკვდრნი საქა-რთველოჲსანი მართლმადიდებლობასა და ერთსა ზრახვასა შინა განვმტკიცდეთ და ერთითა პირითა და ერთითა გულითა ქრისტესა, ჭეშმარიტსა ღმერთსა ვუგალობდეთ. მსახურებასა შინა განაძლიერე უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოჲს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფჱ, მამაჲ

ჩუენი ილია, ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, პატიოსანნი მღდელნი, ქრისტეს მიერ დიაკონნი და ყოველნი სამონაზვნო წესნი, ზიარნი მართლმადიდებელისა ეკლესიისანი და ყოველნი მართლმორწმუნენი ქრისტეანენი. მოსახელენი და მვედრებელნი შენნი ადიდე. ევედრე, ყოვლადბრწყინვალეო მარტჳლო, შენგან შეყუარებულსა ტკბილსა იესუს, რაჲთა შეგვინდოს განდგომილებანი, ეკლესიათა ნგრევა-შეგინებანი, ღმრთისმსახურთა მკვლელობანი, ღალატი, შური და უწესობანი, საშოსა შინა ჩვილთა ჩუენთა კვლანი და სხვანიცა შეცოდებათა ჩუენთა სიმრავლენი.

ჵ, ყოვლად-ბრძენო და ყოვლად-შუენიერო ბარბარე, მარტჳლო და სძალო ქრისტჱს ღმრთისაო! იმეოხენ წინაშე მისა, რაჲთა მოჰმადლოს ეკლესიათა დიდებაჲ, სამღდელოთა პატიოსნებაჲ, მთავართა კეთილად მწყსაჲ ერისაჲ, მჴედართა მამაცობაჲ, ერისაგანთა უცოდველობაჲ და დედათა კრძალულებაჲ, ხოლო ჩუენ მოგუანიჭოს კეთილ-მოქალაქობითა ცხორებაჲ, ქუელის საქმითა განშუენებაჲ, წმიდითა ლოცვითა განათლებაჲ, აღსარებითა განწმედაჲ, ზიარებითა განბრწყინებაჲ, პატიოსნად მიცვალებაჲ, სასუფეველსა დამკჳდრებაჲ, ანგელოზთა თანა გალობაჲ, წმიდათა თანა სუფევაჲ, და შენ თანა დიდებაჲ და მადლობაჲ,

რამეთუ მისა ჰშუენის ყოველი დიდებაᲲ, პატივი და თაყუანისცემაᲲ, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღირს არს ჭეშმარიტად, რაᲲთა გადიდებდეთ შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად უბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა, უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

დიდებაᲲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. უფალო, შეგჳწყალენ (3-გზის).

უფალო, იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისაᲲთა, ყოვლად დიდებულისა და ფრიად ქებულისა ქალწულ-მოწამისა ბარბარჱსითა და ყოველთა წმიდათაᲲთა, შეგჳწყალენ ჩუენ, ამინ.